ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N50

ქ. თბილისი 1 ივნისი, 2017 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს ,,ნატალი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატალია თოლორაიას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი N1-ით გათვალისინებული მომსახურების შესყიდვა. შემდგომში – მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშკეულრბის ჯამური ღირებულება შეადგენს **376 (სამასსამოცდათექვსმეტი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2.2. ერთეულის ფასები წარმოდგენილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მენეჯერი - ანა იასეშვილი.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, სილამაზის სალონი ,,ნატალი".
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3. ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 ივნისს და მოქმედებს 2017 წლის 15 ივლისამდე.

9.4. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს“.

10. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“

შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“

მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34

ს/კ 204568208

ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი

ლევან ჩიკვაიძე

“მიმწოდებელი“

შპს ,,ნატალი”

მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №67

ს/კ 205125407

ბანკი: სს “თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE26TB7981936080100001

დირექტორი

ნატალია თოლორაია

დანართი N1

N	CPV კოდი	დასახელება	რაოდ-ბა	ერთეულის ფასი	ჯამური თანხა
1	98321000	სტილისიტის მომსახურება	8	17.00	136.00
2	98322140	მაკიაჟის სპეციალისტის მომსახურება	4	60.00	240.00
					სულ: 376.00 ლარი, დღგ–ს ჩათვლით

"შემსყიდველი"
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
შპს ,,ნატალი"
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №67
ს/კ 205125407
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE26TB7981936080100001

დირექტორი
ნატალია თოლორაია